განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
მარკეტინგის (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
19.06.2018

დასკვნის წარდგენის თარიღი
01.08.2018

თბილისი
2018-

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	- 229275405
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მარკეტინგი (ინგლისურენოვანი)
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი მარკეტინგში 0202
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ავტორიზებული, აკრედიტებულია აკრედიტაციის საბჭოს 01/02/2012. #12 გადაწყვეტილებით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ღაღანიძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თორნიკე გურული, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო დგვეფაძე, ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია BRANDOR Consulting დირექტორი და მმართველი პარტნიორი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანი გვრიტიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) მარკეტინგის (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამის მიზანია ბიზნესის მართვის თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. პროგრამის ამოცანას წარმოადგენს მოამზადოს სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა ბიზნესის მართვის სფეროებში.

პროგრამის ხანგრძლივობაა 2 აკადემიური წელი ანუ 4 სემესტრია და მოიცავს 120 კრედიტს. სამაგისტრო პროგრამას გააჩნია შემდეგი სტრუქტურა: 66 კრედიტი სავალდებულო კომპონენტი, წარმოდგენილია ხუთი 10 კრედიტიანი და ორი 8 კრედიტიანი სასწავლო დისციპლინებით; 24 კრედიტი არჩევითი კომპონენტი, სადაც წარმოდგენილია შვიდი 6 კრედიტიანი სასწავლო დისციპლინა; 30 კრედიტი კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი). პროგრამის სავალდებულო და არჩევითი დისციპლინები იძლევიან მარკეტინგში მინიმალურად აუცილებელ ცოდნას და ამდენად უზრუნველყოფენ შედეგის მიღწევას გარკვეული პირობითობით. პროგრამის ინტერნაციონალიზაცია ხორციელდება პროგრამაზე სხვა ქვეყნის მოქალაქეების სწავლებით. აღსანიშნავია, რომ პროგრამა პოპულარულია ამავე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ ბაკალავრებში, რომლებიც მაგისტრატურაში სწავლას აგრძელებენ სწორედ ამ უნივერსიტეტში. პროგრამის კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ ისინი დასაქმებული არიან სხვადასხვა კომპანიებში და ამავდროულად მათი ნაწილი სწავლობს დოქტორანტურაში, გამოთქვამენ მზადყოფნას ითანამშრომლონ უნივერსიტეტთან, კერძოდ უნივერსიტეტს შესთავაზონ მეტი პრაქტიკის ობიექტები. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ბიუჯეტში. პოტენციური დამსაქმებლები ნაკლებად იყვნენ ინფორმირებული პროგრამის შესახებ და ამდენად მათი ჩართულობა პროგრამის განვითარების პროცესში პრაქტიკულად არ არსებობს, გამოიკვეთა მხოლოდ მათი მათი დადებითი შეხედულება დაწესებულების მიმართ და ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის დასაქმების მზაობა.

პროგრამა გადის ხელახალ აკრედიტაციას. აკრედიატციის სტატუსის უწყვეტობის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის მიზნისათვის (პროგრამა აკრედიტებულია აკრედიატციის საბჭოს 2012 წლის 01 თებერვლის გადაწყვეტილებით).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 19 ივნისს. ვიზიტამდე, 18 ივნისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი და მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ექსპერტთა ჯგუფმა იმუშავა ძირითადი მოსაზრებების გაზირების ირგვლივ და განისაზღვრა აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის მომენტში, ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და სტანდარტების კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

19 ივნისს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 09.00 სთ-ზე დაიწყო ვიზიტი. ვიზიტი მიმდინარეობდა წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით. მოხდა შეხვედრები უნივერსიტეტის ხელმძღვანელებთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან,

უნივერსიტეტის აფილირებულ, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან. განხორციელდა უნივერსიტეტის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის დათვალიერება (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ). სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით. დაწესებულების მხრიდან გამოიკვეთა კოლეგიალური დამოკიდებულება ექსპერტთა ჯგუფის მიმართ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

- მარკეტინგის (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-2, მე-3 და მე-5 სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, პირველი ნაწილობრივ შესაბამისობაშია, მე-4 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. პროგრამის ძლიერ მხარეებს უნდა მივაკუთვნოთ: პროგრამის რეალური ინტერნაციონალიზაცია, კურსდამთავრებულთა დამოკიდებულება უნივერსიტეტთან. ასევე უნდა აღინიშნოს ვიზიტის დროს წარმოდგენილი ფინანსური გათვლები, რომლებიც ცხადყოფს ადმინისტრაციის მუდმივ ზრუნვას, ჰქონდეთ ფინანსურად მდგრადი პროგრამა. შედარებით სუსტი მხარეა დარგობრივი (მარკეტინგის დარგის) აფილირებული პერსონალის სიმცირე, რაც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. პროგრამა უზრუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, არის გარკვეული აზრით კონკურენტული და მისი შემდგომი განვითარება შესაძლებელია, თუ დაწესებულება გაითვალისწინებს ექსპერტთა რეკომენდაციებს.

- **რეკომენდაციები**
  - აუცილებელია პროგრამის მიზნების უფრო მკაფიო ფორმულირება, ამისათვის კი აუცილებელია შრომის ბაზრის კომპლექსური კვლევის ჩატარება. პროგრამის სასწავლო კურსების შერჩევაში აშკარად გამოტოვებულია შრომის ბაზარზე ყველაზე მაღალი მოთხოვნის მქონე მიმართულებები, როგორებიცაა ციფრული მარკეტინგი, სოციალური მედიის გამოყენება. უკვე პრაქტიკულად კლასიკურად ქცეული ელექტრონული ბიზნესიც, ნაკლებადაა წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამაში.
  - **მიზანშეწონილია პროგრამის სასწავლო დისციპლინებს დაემატოს: ციფრული მარკეტინგი, სოციალური მედიის გამოყენება, ელექტრონული ბიზნესი.**
  - განისაზღვროს სასწავლო კურსისათვის კრედიტის მინიჭების მექანიზმი, რომელიც დამოკიდებული იქნება სასწავლო კურსის შინაარსზე, ასათვისებელი ლიტერატურის მოცულობაზე და საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტის შესაძლებლობებზე. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, სასწავლო კურსის ლექტორის მხრიდან უნდა მოხდეს სასწავლო კურსისათვის კრედიტის მინიჭება და კრედიტში საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების განაწილება.

- **10 კრედიტიანი სასწავლო დისციპლინების კრედიტების გადაანგარიშება შემცირების მიმართულებით და არჩევით დისციპლინებში სასწავლო საგნების დამატება და პროგრამის სტრუქტურაში მათი მოცულობის გაზრდა.**
- სასწავლო დისციპლინების დამატება, რომელიც მარკეტინგის დარგში მნიშვნელოვანი ცოდნის, მიღებისა და უნარების გამომუშავებისათვის იქნება მიმართული. აღნიშნული კი ორიენტირებული იქნება კურსდამთავრებულთა შემდგომი კონკურენტუნარიანობის გაზრდისაკენ. **(მიზანშეწონილია პროგრამის სასწავლო დისციპლინებს ძირითადი სასწავლო კურსების სახით დაემატოს: ციფრული მარკეტინგი, სოციალური მედიის გამოყენება, ელექტრონული ბიზნესი).**
- რეკომენდებულია, პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება, რათა სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა რეალურად განახორციელონ კომპანიების მარკეტინგული აქტივობების დაგეგმვა.
- რეკომენდებულია, პროგრამაში დაზუსტდეს, რომ სტუდენტებისათვის, რომლებიც არ მუშაობენ მარკეტინგის მიმართულებით, პრაქტიკული კომპონენტი სავალდებულო იყოს.
- **საჭიროა მოხდეს მარკეტინგის მიმართულებით აკადემიური პერსონალისა და აფილირებული პერსონალის დამატება.**
- **საჭიროა გაძლიერდეს პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენცია მარკეტინგის მიმართულებით, რათა მან შეძლოს აღნიშნული პროგრამის განვითარება.**
- **საჭიროა მოხდეს ლიტერატურის განახლება დარგში არსებული უახლესი ცოდნის გათვალისწინებით.**
- გაუმჯობესდეს საგანმანათლებლო სფეროში ურთიერთანამშრომლობის მიზნით მემორანდუმის ხელმომწერი პარტნიორი ბიზნესკომპანიების და პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობის უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების, შეფასების და განვითარება/მოდერნიზაციის პროცესში. ამისათვის კი რეკომენდებულია:

  ა) დამსაქმებლების გამოკითხვის კვლევის დიზაინის, მეთოდოლოგიის სრულყოფა და კვლევის რეპრეზენტატულობის უზრუნველყოფა. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ დამსაქმებლების მიერ პროგრამის შეფასების კვლევაში მხოლოდ 2 რესპოდენტი იღებდა მონაწილეობას;

  ბ) დამსაქმებლებთან ურთიერთობის ფორმალიზება. აკრედიტაციის პროცესის ფარგლები მოწვეული დამსაქმებლები ვერ ან მხოლოდ ნაწილობრივ ადასტურებდნენ პროგრამის შემუშავების, მის განხორციელების, შეფასების ან განვითარების პროცესში ჩართულობას. ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის დროს არცერთ მათგანს არ ჰქონდა გაფორმებული მემორანდუმი საერთაშორისო შავი ზღვის უნივერსიტეტთან, თუმცა აცხადებდნენ, რომ მიმდინარეობდა მემორანდუმის პირობებზე მოლაპარაკება და შეთანხმება უნივერსიტეტთან.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დასაქმების ბაზრის კვლევა არ არის სრულყოფილი. ის მეტწილად მეორადი მონაცემთა ბაზის სახეს ატარებს. დასაქმების ბაზრის კვლევის დახვეწა გახდის პროგრამას მეტად საინტერესოს და განამტკიცებს პროგრამის მისიას და მიზნებს.

- ბიზნესის მართვის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში ჩართული ფაკულტეტის წევრების შეხვედრები არის ოქმის სახით წარმოდგენილი და დოკუმენტირებული ფოტოებით, თუმცა არ არის დათარიღებული და დამოწმებული. ხარისხის გაუმჯობესების მიზნით რეკომენდებულია პროგრამის გაუმჯობესების ფარგლებში განხორციელებული შეხვედრების დათარიღება, მიღებული გადაწყვეტილებების დამოწმება და შესასრულებელი აქტივობების პასუხიმგებელი პირების და შესრულების ვადების განსაზღვრა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).** საგანმანათლებლო პროგრამის წინა აკრედიტაცია ჩატარდა 2011 წელს. სააკრედიტაციო ჯგუფის დასკვნაში (30.11.2011) აღნიშნულია, რომ მიზანშეწონილია ინდივიდუალური მუშაობის არა მხოლოდ საკონსულტაციო ფორმის გამოყენება და საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური გეგმის ფორმირება. ეს საკითხები ამ ეტაპზე გათვალისწინებულია.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, წათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია **ბიზნესის მართვის** თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. პროგრამის ამოცანას წარმოადგენს მოამზადოს სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა **ბიზნესის მართვის სფეროებში.** მიზნებში გაწერილი საკითხები ფორმალურად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება, ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო და კვლევით ურთიერთობებს საერთაშორისო დონეზე, განავითაროს სამეცნიერო კვლევები, თუმცა, ნაწილობრივ არის მიღწევადი. პროგრამის მიზანი ნაწილობრივ ეყრდნობა შრომის ბაზრის მოთხოვნებს, თუმცა ბოლომდე ვერ ითვალისწინებს საერთაშორისო პრაქტიკის თანამედროვე ტენდენციებს, საერთაშორისო და ადგილობრივი ეკონომიკური პროცესების გამოწვევებს. კერძოდ, პროგრამის მიზანია თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებაა. პროგრამის ამოცანას წარმოადგენს მოამზადოს სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა მარკეტინგის და მასთან დაკავშირებულ სფეროებში. პროგრამა გარდა თეორიული ლექციებისა, მოიცავს ინტერაქტიურ სემინარებსა და პრაქტიკულ ტრენინგებს, პრეზენტაციებსა და ჯგუფურ მუშაობას, რის შედეგადაც მაგისტრანტს გაუადვილდება, როგორც მარკეტინგის სფეროში არსებული თეორიული პრობლემების ანალიზი, ისე რეალურ ბიზნეს-სიტუაციებში გარკვევა და მათი მართვა. ამდენად პროგრამის მიზნები ნაწილობრივ მიღწევადია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის მისიით; ○ მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამით, სილაბუსებით. ○ დაწესებულების ადმინისტრაციასთან დამსაქმებლებთან ინტერვიურებით.
რეკომენდაციები: აუცილებელია პროგრამის მიზნების უფრო მკაფიო ფორმულირება, ამისათვის კი აუცილებელია შრომის ბაზრის კომპლექსური კვლევის ჩატარება. პროგრამის სასწავლო კურსების შერჩევაში აშკარად გამოტოვებულია შრომის ბაზარზე ყველაზე მაღალი მოთხოვნის მქონე მიმართულებები, როგორებიცაა ციფრული მარკეტინგი, სოციალური

მედიის გამოყენება. უკვე პრაქტიკულად კლასიკურად ქცეული ელექტრონული ბიზნესიც ნაკლებადაა წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამაში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **x ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო კურსების ყოველკვირეული შინაარსი დეტალურად, წარმოდგენილია სილაბუსებში. ყველა სილაბუსი განიხილავს მოცემული სასწავლო კურსის სწავლა/სწავლების მეთოდებს, რომელთა შორისაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სტუდენტზე ორიენტირებულ მეთოდებს და აქტივობებს (წიგნზე მუშაობა, დემონსტრირება, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, გონებრივი იერიში, ინდუქცია, ანალიზი, სინთეზი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და სხვა). სილაბუსების მიმოხილვისას და ვიზიტის დროს ინტერვიურებისას გამოვლინდა, რომ ლექცია ინტერაქტიულ ხასიათს ატარებს და სტუდენტთა ჩართვას უზრუნველყოფს, პრაქტიკული სწავლება და სემინარები ითვალისწინებენ სტუდენტების აქტიურ

მონაწილეობას.

სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ეყრდნობა მთლიანი პროგრამის სწავლის შედეგებს და დაზუსტებულია კონკრეტული კურსის შინაარსიდან გამომდინარე.

სასწავლო კურსების სწავლების მეთოდები მორგებულია მათ შინარსზე და ათვისების თავისებურებებზე.

მარკეტინგის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების თანაფარდობა 66/24 კრედიტის ოდენობით აძლევს სტუდენტს საშუალებას პროფესიული ჩამოყალიბების, ზრდისა და განვითარების გზაზე თვითონ შექმნას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საკუთარი პროფილი, პროფესიული ინტერესებიდან გამომდინარე. თუმცა მთელი რიგი სასწავლო დისციპლინების არ არსებობა ართულებს პროგრამის მიზნების სრულად მიღწევას.

ყურადღებამისაქცევია სასწავლო კურსების შესახებ კრედიტების რაოდენობის მინიჭების/განსაზღვრის საკითხი. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა სავალდებულო კურსების სახით ითვალისწინებს ხუთი 10 კრედიტიანი და ორი 8 კრედიტიანი სასწავლო დისციპლინებს. ესენია:

10 კრედიტიანი კურსები:

მენეჯერული ეკონომიკა,
რაოდენობრივი ანალიზი ბიზნესისათვის,
ბიზნესის კვლევის მეთოდები,

მარკეტინგული გეგმა და ანალიზი,
ჰოლისტიკური მარკეტინგი;

8 კრედიტიანი სასწავლო კურსები:
პრომოცია და რეკლამა,
მარკეტინგული ქეისები და ანალიზი,
10 კრედიტიანი სასწავლო კურსებისათვის, კრედიტში საათების გადანაწილება შემდეგი სახით არის წარმოდგენილი, საკონტაქტო საათები 47 ან 62 საათი (კვირაში 3 ან 4 საათი), და შესაბამისად, დამოუკიდებელი მუშაობის საათი 188 ან 203 საათი, სულ 250 საათი.
ხოლო 8 საათიანი სასწავლო კურსებისათვის, საკონტაქტო საათები არის 47 (კვირაში 3 საათი) საათი, და შესაბამისად, დამოუკიდებელი მუშაობის საათი-153 საათი, სულ 200 საათი. რაც ნიშნავს, რომ დამოუკიდებელი მუშაობის საათები 3-4-ჯერ აღემატება საკონტაქტო საათებს.

ექსპერტთა მხრიდან ამ სასწავლო კურსის შინაარსის, მოცულობის, ასევე შესასწავლი ლიტერატურის ერთმანეთთან შედარების გააზრების შედეგად, ამ დატვირთვის პირობებში, საშუალო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტს შესაძლებელია საკონტაქტო საათებთან მიმართებაში 1-2 ჯერ მეტი დრო დასჭირდეს დამოუკიდებლად მუშაობისათვის.

დაწესებულების მხრიდან ინტერვიურების დროს გამორკვა, რომ მათი მოსაზრებით, დამოუკიდებელი მუშაობის საათები ამგვარი რაოდენობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ლექტორები დავალებებს აძლევენ სტუდენტებს სახლში სამუშაოდ, რომელიც

ხანგძლივ მეცადინეობას მოითხოვს.

სტუდენტებთან ინტერვიუერებისას გამოირკვა, რომ სტუდენტთა უმეტესი ნაწილი არის დასაქმებული. დღის განმავლობაში ისინი არიან დაკავებულები სამსახურში, ხოლო ლექციები უტარდებათ საღამოს საათებში. დამოუკიდებელი მუშაობის მასალა დამოკიდებული იყო თავად საგანზე, თუმცა ისინი აღნიშნავდნენ, რომ სახლში საშუალოდ იმდენი დრო სჭირდებათ მუშაობისათვის, რამდენიც აქვთ საკონტაქტო საათი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ სასწავლო კურსებისათვის კრედიტების ამგვარი მინიჭება გამოწვეულია პროგრამაში მონაწილე დარგობრივი პერსონალის სიმცირით და მათი ოპტიმიზაციისათვის.

უნდა განისაზღროს კრედიტის მინიჭების მექანიზმი არა რესურსების ოპტიმიზაციის გათვლებით, არამედ სასწავლო კურსის ათვისებისათვის გონივრული დროს ფაქტორის გათვალისწინებით. კრედიტების ამგვარი განაწილების შედეგად, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა განსაზღვრულია 120 კრედიტით და მარკეტინგის დარგისათვის მნიშვნელოვანი სასწავლო კურსების შესწავლა არ ხდება და შესაბამისად წარმოდგენილი სწავლის შედეგები ნაკლებად კონკურენტუნარიანს ხდის პროგრამის კურსდამთავრებულს.

ამგვარად, პროგრამის კომპონენტის შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, ნაწილობრივ უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამით, სილაბუსებით.
საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუერებით, დამსაქმებლებთან ინტერვიუერებით;
სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ინტერვიუერებით.

რეკომენდაციები:

განისაზღროს სასწავლო კურსისათვის კრედიტის მინიჭების მექანიზმი, რომელიც დამოკიდებული იქნება სასწავლო კურსის შინაარსზე, ასათვისებელი ლიტერატურის მოცულობაზე და საშუალო აკადმეიური მოსწრების სტუდენტის შესაძლებლობებზე. სასწავლო კურსის ლექტორის მხრიდან, ამ ფაქტორების გათვალისწინებით, უნდა მოხდეს სასწავლო კურსისათვის კრედიტის მინიჭება და კრედიტში საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების განაწილება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამამ განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

α გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ☐ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამას გააჩნია შემდეგი სტრუქტურა: 66 კრედიტი სავალდებულო კომპონენტი, წარმოდგენილია ხუთი 10 კრედიტიანი და ორი 8 კრედიტიანი სასწავლო დისციპლინებით; 24 კრედიტი არჩევითი კომპონენტი, სადაც წარმოდგენილია შვიდი 6 კრედიტიანი სასწავლო დისციპლინა; 30 კრედიტი კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი). პროგრამის სავალდებულო და არჩევითი დისციპლინები იძლევიან მარკეტინგში მინიმალურად აუცილებელ ცოდნას და უზრუნველყოფენ შედეგის მიღწევას მხოლოდ გარკვეული პირობითობით.

პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა სტუდენტებს აძლევს სწავლის შედეგების მიღწევის გარკვეულ შესაძლებლობას და უზრუნველყოფს მათ მინიმალურად აუცილებელი კვალიფიკაციითა და უნარ-ჩვევებით. მიუხედავად ამისა, აუცილებელია პროგრამის სასწავლო დისციპლინების კრედიტების სისტემის გადახედვა. კერძოდ 10 კრედიტიანი დისციპლინების კრედიტების გადახედვა შემცირების მიმართულებით. ეს საშუალებას მისცემს პროგრამას მასში გაიზარდოს აუცილებელი თანამედროვე დარგობრივი სასწავლო დისციპლინები (კრედიტების მინიჭების საკითხის ირგვლივ დეტალები მიმოხილულია 1.2 კომპონენტში). პროგრამას უნდა დაემატოს ძირითადი სასწავლო კურსების სახით: **ციფრული მარკეტინგი, სოციალური მედიის გამოყენება, ელექტრონული ბიზნესი. ამას გარდა, მიზანშეწონილია პროგრამის არჩევითი სასწავლო**

კურსების გამრავალფეროვნება და მეორეს მხრივ - პროგრამის სტრუქტურაში მათი მოცულობის გაზრდა. არჩევითი კურსების გაზრდა სასარგებლო იქნება განსაკუთრებით იმ სტუდენტთათვის, რომელთა წინა საფეხურის კვალიფიკაცია არ არის ამ პროგრამის კვალიფიკაციის მიმართულებით. ექსპერტმა ჯგუფმა მიმოიხილა სამაგისტრო ნაშრომები, რომელთა თემატიკა შეესაბამებოდა სამაგისტრო პროგრამის მიზნებს. აღინიშნა, რომ ყველა ნაშრომი გაფორმებულია უნივერსიტეტში მოქმედი ერთიანი წესით. დაცული ნაშრომები მეტქილად შეესაბამებოდა უმაღლესი განათლების მე-2 საფეხურის მოთხოვნებს.

○

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები;
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო.

რეკომენდაციები:

მიზანშეწონილია პროგრამის სასწავლო დისციპლინებს ძირითადი სასწავლო კურსების სახით დაემატოს: ციფრული მარკეტინგი, სოციალური მედიის გამოყენება, ელექტრონული ბიზნესი.

10 კრედიტიანი სასწავლო დისციპლინების კრედიტების გადაანგარიშება შემცირების მიმართულებით და არჩევით დისციპლინებში დარგობრივი სასწავლო საგნების დამატება და პროგრამის სტრუქტურაში მათი მოცულობის გაზრდა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან საგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ☐ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები აგებულია საკვალიფიკაციო ჩარჩოს კვალიფიკაციის აღმწერის მიხედვით შესაბამისი დონისათვის (ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი და ღირებულებები).
ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე კონკურენტული ვითარება მოითხოვს მაგისტრანტებისაგან ციფრული მარკეტინგის და სოციალური მედიის და ელექტრონული ბიზნესის ზედმიწევნით კარგად ცოდნას. ამდენად, კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა შრომის ბაზარზე საკმაოდ პრობლემატური იქნება, ასევე პრობლემური იქნება პროგრამაში მოცემული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები. რადგან, როგორც ზემოთ არის აღნიშნული, თავად პროგრამის შინაარსი და შესაბამისად სწავლის შედეგები არ არის სრული და თანამედროვე დარგის გამოწვევებზე არ არის მორგებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამით, სილაბუსებით.

რეკომენდაციები:

პროგრამის სწავლის შედეგების მოდიფიცირება და შესაბამისად, დარგობრივი სასწავლო დისციპლინების დამატება, რომლებიც გაზრდიან კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის ხარისხს როგორც განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელებისათვის, ასევე დასაქმების ბაზარზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილადსობაშია მოთხოვნებთანხოვნებთან

x ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო მასში ჩართულმა ბიზნესის მართვის ფაკულტეტის აკადემიურმა პერსონალმა.

ვიზიტის დროს დაწესებულების ადმინისტრაციასთან ინტერვიურების დროს გამოირკვა, რომ ფაკულტეტი თანამშრომლობს პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობა გულისხმობს დაინტერესებული მხარეების აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროგრამების შემუშავების პროცესში დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინების მიზნით. განიხილება ყველა კომენტარი და რეკომენდაცია, რომელიც ეხება როგორც სასწავლო პროგრამის სტრუქტურასა და კურსების შინაარსს, ასევე სწავლების მეთოდიკას. აღნიშნულ დაწესებულებებთან ურთიერთობა რეგულირდება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

პროგრამის შემუშავების პროცესში მონაწილეობა მიიღო ასევე ბიზნესის მართვის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულებმა და სტუდენტებმა. განიხილებოდა პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები და კომენტარები, მათი გაზიარების შესაძლებლობები და შედეგები. ზოგიერთი ცვლილება განხორციელდა სტუდენტების და კურსდამთავრებულების არგუმენტირებული მოთხოვნით.

რაც შეეხება დამსაქმებლებთან ინტერვიუს, მას ესწრებოდა მხოლოდ ორი დამსაქმებელი. მათთან გასაუბრების შედეგების მიხედვით, ისინი ნაკლებად იყვნენ ჩართულები პროგრამის შეფასების პროცესში. მათთან საუბრისას გამოვლინდა, რომ ერთ-ერთ დამსაქმებელს მის კომპანიაში მარკეტინგის მიმართულებით სჭირდებოდა 1 კადრი, და დასაქმებული ყავდა ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებული. მეორე დამსაქმებელმა აღნიშნა, რომ კომპანიაში დასაქმებული ყავდა 1 კადრი ასევე ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები სტუდენტებთან, აკადემიური პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			X	

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალეა. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. გარდა ამისა, პროგრამაზე სწავლის მსურველმა უნდა ჩააბაროს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში და ინგლისურ ენაში (B2 დონე). ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისგან თავისუფლდებიან პირები, რომელთაც ბოლო სამი წლის განმავლობაში აქვთ დამთავრებული ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა და ამ პროგრამის ფარგლებში მათი ნიშნების საშუალო (GPA) არის სულ მცირე 75 (100-დან) ან 3(4-დან), ან არის იმ ქვეყნის მოქალაქე, სადაც პირველი/მეორე ოფიციალური ენა არის ინგლისური, ან აქვთ უცხო ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი. პროგრამაზე მიღების წინაპირობები უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარების და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას. ეს კი ემსახურება სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამაზე დაშვების წინაპირობა; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.ibsu.edu.ge ; ○ შზსუ - ს სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას
პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების განხორციელება ხდება სწავლა/სწავლების შემდეგი სხვადასხვა მეთოდით. სწავლების დროს გამოიყენება როგორც ინდივიდუალური სწავლების მეთოდები, ასევე ჯგუფური მუშაობა. სწავლის მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. პროგრამის სხავადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლის მეთოდები შეესაბამება ამ კომპონენტის შინაარსს და ათვისების თვისებურებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სილაბუსები; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები. ○
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამით კურიკულუმში სასწავლო დისციპლინების ძირითადი ნაწილი წარმოდგენილია თანმიმდევრული გართულებისა და გაღრმავების პრინციპის გათვალისწინებით. პროგრამის კომპონენტების გავლის თანამიმდევრობა აღწერილია სასწავლო გეგმაში. დაშვების წინაპირობები ასევე მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. დაშვების წინაპირობა აქვს ასევე კვლევით კომპონენტს - სამაგისტრო ნაშრომს (პროგრამით გათვლისწინებული სასწავლო კომპონენტის წარმატებით შესრულება). სამაგისტრო ნაშრომი სრულდება დამამთავრებელ სემესტრში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტების შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

სტუდენტთა შეფასების პროცედურები შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან.

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების კრიტერიუმები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

კვლევითი კომპონენტის შეფასება:

ნაშრომი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით. ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით. სტუდენტის მიერ FX გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო (F) პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სასწავლო და კვლევითი კომპონენტის შეფასების მეთოდები შეესაბამება კომპონენტის სპეციფიკას და იძლევა შესაძლებლობას გაიზომოს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა, სილაბუსები;
- შზსუ-ში ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.

○
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენების ცოდნის შეფასებისას ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსების შემთხვევაში გამოყენებულია გამჭვირვალე კრიტერიუმები. ისინი ასახულია სილაბუსებში. უმაღლეს დაწესებულებას აქვს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მიღწეული შედეგების შესახებ სტუდენტების ინფორმირებულობას. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს შედეგების ნაკლოვანებების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, პირადად მიმართავენ ლექტორს. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, სტუდენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. საბოლოო შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. შუალედური შეფასებები განისაზღვრება მაქსიმუმ 70 ქულით და დასკვნითი შეფასება -

მაქსიმუმ 30 ქულით. სილაბუსში მოცემულია შუალედური და დასკვნითი შეფასება ჩაშლილია სხვადასხვა კომპონენტებად, მაგალითად, სტაჟირების დროს დახარჯული ძალისხმევა - 15 ქულა...ხელმძღვანელების მიმართ მატი დამოკიდებულება - 10 ქულა...ანუ მოცემულია ქულების მაქსიმუმი, ხოლო არ არის ნაჩვენები როგორ იწერება 0-დან 15 ქულამდე შეფასება. რაც შესაძლებელია სტუდენტისათვის გახდეს საინტერესო და ლექტორისათვის კი სახელმძღვანელო სტუდენტის შეფასებისას. კრიტერიუმების ჩაშლილი, გამჭვირვალე სახით წარმოდგენა მინიმუმამდე დაიყვანს ლექტორის მხრიდან სტუდენტის არაობიექტურად შეფასების შემთხვევას და ასევე იქნება ერთგვარი დაცვითი მექანიზმი სტუდენტის სწავლის შედეგის შესაბამისი დონის შეფასებისათვის.

ასევე გადასახედია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და ბუნდოვანია, როგორ ფასდება შეფასების კომპონენტები მინიმალურიდან მაქსიმალური ქულის შემთხვევაში. (მაგალითად, „კვლევის აქტუალობა", რომელიც სილაბუსის მიხედვით ფასდება მაქსიმუმ 10 ქულით, რა შემთხვევაში შეიძლება შეფასდეს უფრო ნაკლები ქულით);

აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემოაღწერილ შემთხვევებში, სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოყენებული შეფასების კრიტერიუმები მოითხოვს დახვეწას სტუდენტის შეფასების გამჭვირვალეობის უზრუნველყოფის მიზნით. ამ გარემოებების გათვალისწინებით, სტანდარტის ამ კომპონენტის შეფასება არის მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- სილაბუსები.

რეკომენდაციები: მიზანშეწონილია შეფასების კრიტერიუმების დაზუსტება, მათი გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○

○

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ინტერვიუებით დადგინდა, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის, მარკეტინგის სამაგისტრო ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტები იღებენ თავიანთი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას. უნივერსიტეტში არსებობს პროგრამის ადმინისტრატორი, რომელიც სტუდენტებს ეხმარება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაში. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისაგან იღებენ ყველა საჭირო ინფორმაციას. ისინი ინფორმირებული არიან უნივერსიტეტში მიმდინარე აქტივობებისა და მოქმედი ფინანსური წახალისების მექანიზმების შესახებ. სტუდენტები ადასტურებენ, რომ მათ აქვთ აქტიური კომუნიკაცია ლექტორებთან სასწავლო კურსებთან დაკავშირებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მარკეტინგის სამაგისტრო ინგლისურენოვანი პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან; ○ ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები;

- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ა გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მარკეტინგის სამაგისტრო ინგლისურენოვანი პროგრამის ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში გათვალისწინებულია საკონსულტაციო საათები კვირაში ორი საათი. თუმცა, სტუდენტებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ ისინი არ იცნობენ კონკრეტულ საკონსულტაციო საათებს სილაბუსის მიხედვით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინტერვიუს დაწესებულების მიერ დღის განრიგში ჩამოთვლილი 6 სტუდენტიდან მხოლოდ ორი სტუდენტი ესწრებოდა. აღნიშნული ფაქტის მიუხედავად, სტუდენტები არ განიცდიან კონსულტაციების ნაკლებობას და აღნიშნავენ, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებლობა აქვთ, დამატებით საკონსულტაციო საათებზე პირადად შეუთანხმდნენ ლექტორებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მარკეტინგის სამაგისტრო ინგლისურენოვანი პროგრამა;
- მარკეტინგის სამაგისტრო ინგლისურენოვანი პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ სტუდენტებთან;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებათან;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა;
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, ყველა სტუდენტი იყოს ინფორმირებული სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული საკონსულტაციო საათების შესახებ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მარკეტინგის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა მოიცავს პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს კომპონენტი არის არჩევითი. პროგრამის ხელმძღვანელთან საუბრისას

გამოიკვეთა, რომ თუ სტუდენტი არ არის დასაქმებული, ან დასაქმებულია სხვა სფეროში მან აუცილებლად უნდა გაიროს პრაქტიკა, მაგრამ აღნიშნული არ ფიქსირდება პროგრამაში. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ სწავლის პროცესში ისინი ქეისების მეშვეობით ეცნობიან რეალურ სიტუაციებს, რაც მათ საშუალებას აძლევს განივითარონ პრაქტიკული და კვლევითი უნარები. თუმცა, პრაქტიკული უნარების განვითარებას კვლავ პრობლემურ საკითხად ასახელებენ. სტუდენტები ისურვებდნენ, რომ პრაქტიკულად მეტად იყვნენ ჩართულები ისეთ აქტივობებში, როგორიცაა კომპანიის მარკეტინგული კამპანიის შემუშავება, ბრენდინგი. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის ჩამონათვალი იმ კომპანიებისა, რომელთანაც უნივერსიტეტს აქვს მემორანდუმები გაფორმებული (112 კომპანია), თუმცა ინტერვიუზე წარმოდგენილ დამსაქმებლებთან, უნივერსიტეტს არ აქვს გაფორმებული მემორანდუმი ("Geobuilders", "ლილო მოლი") და აღნიშნული დამსაქმებლები არ იცნობდნენ პროგრამას. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკებები მემორანდუმების გაფორმებაზე. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში სისტემატურად ეწყობა კონფერენციები. ასევე, სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია პრეზენტაციებისა და პროექტების მომზადება, რაც, სტუდენტთა თქმით, ეხმარება მათ პრაქტიკული და კვლევითი უნარების გამომუშავებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მარკეტინგის სამაგისტრო ინგლისურენოვანი პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ მარკეტინგის სამაგისტრი ინგლისურენოვანი პროგრამა; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან; ○ ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან; ○ ინტერვიუ დამსაქმებლებთან; ○ ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან; ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება, რათა სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა რეალურად განახორციელონ კომპანიების მარკეტინგული აქტივობების დაგეგმვა. ○ რეკომენდებულია, პროგრამაში დაზუსტდეს, რომ სტუდენტებისათვის, რომლებიც არ მუშაობენ მარკეტინგის მიმართულებით, პრაქტიკული კომპონენტი სავალდებულო იყოს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ◉ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში და საზაფხულო სკოლებში. მარკეტინგის სამაგისტრო ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტები მიმდინარე წლის ზაფხულში მიდიან ამსტერდამში საზაფხულო სკოლაში. სტუდენტებთან ინტერვიუებისას დადგინდა, რომ ისინი საუნივერსიტეტო მეილის მეშვეობით აქტიურად იღებენ ინფორმაციას უნივერსიტეტში მიმდინარე საერთაშორისო პროექტების შესახებ. უნდა აღინიშოს ისიც, რომ პროგრამაში ჩართულები არიან საერთაშორისო სტუდენტები (4 სტუდენტი), რაც, თავის მხრივ ხელს უწყობს ინტერნაციონალიზაციას. სტუდენტებთან ინტერვიუებისას დადასტურდა, რომ პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს უცხოელი ლექტორების ჩამოყვანას, რომლებიც ატარებენ ლექციებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მარკეტინგის სამაგისტო ინგლისურენოვანი პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

- მარკეტინგის სამაგისტრო ინგლისურენოვანი პროგრამა;
- ინტერვიუ სტუდენტებთან;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებათან;
- ინტერნაციონალიზაციის შესახებ ანალიზი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას, სათანადო ინვენტარით აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიებს, ბიბლიოთეკას, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახებს, კომპიუტერულ ლაბორატორიებს, ინტერნეტის წვდომის საშუალებებს და სხვა ტექნიკურ აღჭურვილობას, რომლებიც შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ექსპერტების მიერ შერჩევით მოხდა სილაბუსში მითითებული ძირითადი ლიტერატურის ბიბლიოთეკაში დათვალიერება. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა განთავსებულია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკის პერსონალთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ უნივერსიტეტი არსებული მოთხოვნის შესაბამისად, პერიოდულად ახორციელებს ახალი სასწავლო ლიტერატურის შეძენას და თანამედროვე ლიტერატურით წიგნადი ფონდის შევსებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება ადგილზე; სასწავლო კურსების სილაბუსები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლი პერსონალი წარმოდგენილია აკადემიური პერსონალის (მათ შორის აფილირებული) და მოწვეული პერსონალის სახით. საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება მათი სამეცნიერო ხარისხებით, სამეცნიერო ნაშრომებით და პრაქტიკული გამოცდილებით. დარგობრივი აფილირებული პროფესორი, რომელიც მარკეტინგის მიმართულებით იქნებოდა პროგრამაში ჩართული, არ გვხვდება. მხოლოდ აფილირებული პროფესორი საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში. პროგრამის ხელმძღვანელი, ასევე თანახელმძღვანელი, არ ფლობენ მარკეტინგის მიმართულებით დარგში არსებულ ცოდნას, რაც მათ დაეხმარებოდათ პროგრამის განვითარებაში.

ამიტომ, რთული იქნება პროგრამაში მონაწილე პერსონალის მიერ, ან სხვა დაინტერესებული პირის მიერ პროგრამაში შესატანი ცვლილებების ინიცირების შემთხვევაში, დარგობრივი ფილტრის გატარებისა და სწორი გადაწყვეტილების მიღება. ასევე, თავად პროგრამის ხელმძღვანელების მიერ დარგობრივი სიახლეების თვალყურის მიდევნება დარგში ნოვაციების შემთხვევაში პროგრამაში ცვლილებების განხორციელების საჭიროებისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მხოლოდ 8 პედაგოგი. პროგრამაში მცირეა მარკეტინგის მიმართულებით პრაქტიკაში დასაქმებული პერსონალი. პროგრამაში ჩართულია 4 აფილირებული პროფესორი, მათგან, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 1 პროფესორი არის საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში. მარკეტინგის დარგში სხვა აფილირებული პერსონალი არ არის. ერთი ასოცირებული პროფესორი მუშაობს მარკეტინგის მიმართულებით. ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დარგობრივი აკადემიური და აფილირებული

პერსონალის გაზრდა. ინტერვიუების შედეგად დადგინდა, უნივერსიტეტში პერიოდულად ეწყობა სამეცნიერო კონფერენციები, გამოიცემა სამეცნიერო ჟურნალი; ხორციელდება აკადემიური პერსონალის წახალისება გაცვლით პროგრამებში, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად. აფილირებული პერსონალისათვის წელიწადში განსაზღვრულია გარკვეული რაოდენობის თანხა მათი აკადემიური, სამეცნიერო აქტივობისათვის და სხვა ხელშემწყობი ღონისძიებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ◇ ხელშეკრულებები პერსონალთან ◇ ინტერვიუები, განხორციელებული ვიზიტის დროს ◇ სილაბუსები
რეკომენდაციები: • **მარკეტინგის მიმართულებით აკადემიური პერსონალისა და აფილირებული პერსონალის გაზრდა.** • **გაძლიერდეს პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენცია მარკეტინგის მიმართულებით, რათა მან შეძლოს აღნიშნული პროგრამის განვითარება**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ექსპერტების ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ პროგრამის განხორციელების ხელშეწყობა უზრუნველყოფილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი (მათ შორის, დაკულტეტის ადმინისტრაცია, ბიბლიოთეკარი და სხვ.) უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას სამაგისტრო პროგრამისა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე, ეხმარებიან მათ სწავლის პროცესში შექმნილი პრობლემების გადაჭრაში. გუნდი არის კეთილგანწყობული სტუდენტთა, და კოლეგიალური თანამშრომელთა და სხვა გარე პირების მიმართ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიურება საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან; ○ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ინგლისურენოვანია და შესაბამისად, მარტივია დარგში არსებული ცოდნის ინტეგრირება სამაგისტრო პროგრამაში. ცალკეულ სასწავლო კურსებში დარგში არსებული ცოდნა გათვალისწინებულია. ზოგიერთ სასწავლო კურსში ლიტერატურა მოძველებულია. მაგალითად, სასწავლო კურსში „Advertising & Promotion" გამოყენებული ლიტერატურა: Advertising and Promotion: George Belch , Michael Belch 2011. New York. იგივე ავტორობით გამოცემული იქნა მე-12 გამოცემა, რომელიც 2017 წელს დაიბეჭდა და განახლებულ ინფორმაციას მოიცავს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუ
- ვიზიტი ბიბლიოთეკაში
-

რეკომენდაციები:

ლიტერატურის განახლება დარგში არსებული უახლესი ცოდნის გათვალისწინებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო არსებულ საბიუჯეტო მასალას. უმაღლესმა დაწესებულებამ წარმოადგინა სავარაუდო ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებულია 1.09.2017.

ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგიდა, რომ უნივერსიტეტის სტრატეგიაა ფინანსურად ხელი შეუწყოს პროგრამის განვითარებას. ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო-კვლევითი დანახარჯები, საგანმანათლებლო მხარდაჭერის დანახარჯები, დანახარჯები სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობებზე, დანახარჯები კონფერენციებზე და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
- ბიუჯეტი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლს

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დასახული მიზნების განხორციელებისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე"(PDCA) ციკლის მიდგომას. ხარისხის უზრუნველყოფა განიხილება, როგორც სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მუდმივი პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს გაუმჯობესების აქტივობებს მკაფიოდ განსაზღვრული კრიტერიუმებით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საბჭო არის კოლეგიური ორგანო, რომელშიც შედის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ყველა მენეჯერი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, რომელიც წარმოადგენს საბჭოს თავმჯდომარეს. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში დასაქმებულია 6 პირი, მათ შორის სამსახურის უფროსი, და 5 ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს, ახალი საგანმანათლებლო პროგრამის პროექტს, საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების განხორციელების საკითხს, ასევე სამსახურის

კომპეტენციაში შემავალ ძირითად საკითხებს, და უნივერსიტეტის სხვადასხვა დებულებებში ცვლილებების შეტანის საკითხს განიხილავს და ამტკიცებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საბჭო.

უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერები, მონაწილეობას იღებენ სასწავლო პროცესის ყველა საფეხურზე: მის დაგეგმვაში, განხორციელებაში (მიმდინარე შეფასებები, მათი შედეგების ანალიზი), შემოწმებასა და განვითარებაში. თვითშეფასების შედეგად დადგენილი სირთულეების გასწორება განხორციელდება ყოველწლიურად.
ხარისხის უზრუნველყოფისა და პროგრამის მართვა ხორციელდება დამტკიცებული რეგულაციების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს ყველა პროცესის მიმდინარობის სიზუსტეს და გამჭვირვალობას.
ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში სისტემატიზირებულია უნივერსიტეტის მუშაობის ხარისხის შეფასების, სტანდარტებისა და ეფექტური განხორციელების პროცედურები, რომლებიც ჩვეულებრივ რეგულარულად ხორციელდება. მათგან ერთ-ერთი ძირითადი - შემოწმება - არის მთავარი საშუალება, რომლითაც უნივერსიტეტი აფასებს და ასახავს თავის მუშაობას, პოლიტიკას, გეგმებს და პროცესებს,
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, PDCA ციკლის პრინციპის საფუძველზე, ახორციელებს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების პერიოდულ კონტროლს და შემოწმების შედეგებს წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს, კანცლერსა და სხვა პასუხისმგებელ პირებს, მათი კომპეტენციის შესაბამისად. აღნიშნული შედეგები გამოიყენება დაგეგმილი მიზნების ეფექტურად მიღწევისათვის მიმდინარე პროცესების შესამოწმებლად და პროგრამების ხარისხის თანდათანობითი გაუმჯობესებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის ოქმები;
- პროგრამის განვითარების გეგმა;
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა (2018-2015);
- ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების (სპეციალობა: მარკეტინგი) სამაგისტრო პროგრამის სამოქმედო გეგმა (2018-2021);
- სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები;

- ინტერვიუ უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური უფროსთან, ფაკულტეტის ხარისხის სამსახურთან;
- ვებ-გვერდი www.ibsu.edu.ge;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-ს უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ბიზნესის მართვის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში ჩართული ფაკულტეტის წევრების შეხვედრები არის ოქმის სახით წარმოდგენილი და დოკუმენტირებული ფოტოებით, თუმცა არ არის დათარიღებული და დამოწმებული. ხარისხის გაუმჯობესების მიზნით რეკომენდებულია პროგრამის გაუმჯობესების ფარგლებში განხორციელებული შეხვედრების დათარიღება, მიღებული გადაწყვეტილებების დამოწმება და პასუხიმგებელი პირების და შესრულების ვადების განსაზღვრა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში კოორდინირებას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის მიზანია: 1. განახორციელოს ღონისძიებები სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხის სისტემატური სრულყოფისათვის; 2. იზრუნოს აკადემიური პერსონალის პროფესიული დონის მუდმივ ზრდაზე და უზრუნველყოს სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვა-განვითარებაზე; 3. განახორციელოს უნივერსიტეტის ინსტიტუციონალური კვლევები.

იბსუ-ს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა, ძირითადად, მოიცავს შემდეგ აქტივობებს: 1) უნივერსიტეტში გამჭვირვალობისა და აღიარების ინსტრუმენტების დანერგვა-განვითარებას (ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემა (ECTS System), დიპლომის დანართი, მობილობა და სხვ.) 2) კომპეტენციებზე დაფუძნებული განათლების ხარისხის მდგრადი და უწყვეტი პროცესის უზრუნველყოფას, რაც მოიაზრებს სტუდენტთა კომპეტენციის განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროგრამებს, სწავლებისა და შეფასების ადეკვატურ მეთოდებს, პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებას, პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და შედეგების მიღწეულ ნიშნულთან მუდმივ შედარებას; 3) უნივერსიტეტში სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებასა და სწავლის შედეგებზე დაფუძნებული მიდგომების დანერგვას; 4) საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით შემუშავებას ყველა დაინტერესებული პირის (აკადემიური პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვ.) ჩართულობით; 5) სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლების და შეფასების სისტემის დანერგვას, სტუდენტის მაქსიმალური ჩართულობით და სწავლის პროცესში აქტიური მონაწილეობით; 6) უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და შეფასებაზე მიმართული რეკომენდაციების შემუშავებას; 7) ავტორიზაციისა და აკრედიტაციისთვის თვითშეფასების პროცესის ორგანიზებას; 8) ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავებას, უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით; 9) საგანამანთლებლო პროგრამების შექმნის, შეფასებისა და უწყვეტად განვითარების პროცესის კოორდინირებას; 10) უნივერსიტეტის საქმიანობის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის პროცესის მონიტორინგსა და განვითარებაზე ორიენტირებული რეკომენდაციების შემუშავებას; 11) საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული აკადემიური ექსპერტიზის ორგანიზებასა და მათი გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების შემუშავებას; 12) სასწავლო პროცესის მსვლელობის, სასწავლო დისციპლინის დაცვის, საგამოცდო სესიების ორგანიზება-ჩატარების, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების აღრიცხვის

პერიოდულად გაკონტროლებას; 13) ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტთა მიერ ლექტორების პედაგოგიური დონის შეფასების გამოკითხვის ჩატარებას, მიღებული შედეგების დამუშავებას, ანალიზსა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას;. 14) უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასებას, მიღებული შედეგების ანალიზსა და შესაბამისი რეკომედაციების გაცემას; 15) უნვერსიტეტის მიერ საზოგადოების განვითარებისათვის განხორციელებული ღონისძიებების შეფასება, ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება; 16) უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასებასა და ხარისხის გაუმჯობესებაზე მიმართული რეკომენდაციების შემუშავებას; 17) ყველა იმ დამატებითი ღონისძიების განხორციელებას, რაც პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდება სამსახურის მიზნების მიღწევას.

შიდა შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შიდა შეფასებებს წელიწადში ორჯერ. წელიწადში ორჯერ ხორციელდება სტუდენტების გამოკითხვები მათი კმაყოფილების დადგენის და საგანმანათლებლო პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევადობის შესახებ.

შიდა შეფასებით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასევე არკვევს თუ როგორია სტუდენტთა ჩართულობა, რამდენად შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები სტანდარტებთან მიმართებაში, ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას და პროგრამის დასახულ მიზნებთან და სწავლის შედეგებთან მიღწევადობას. ასევე, პერიოდულად ხორციელდება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროგრამების სხვადასხვა ქვეყნების წამყვანი უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამებთან შედარების ანალიზი და ბიზნესის მართვის ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნადობის შესაფასებელი ბაზრის კვლევა. დამატებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ატარებს კურსდამთავრებულთა, პერსონალის და დამსაქმებლის გამოკითხვებს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მისი ფუნქციების შესრულების პროცესში ჩატარებული კვლევების საფუძველზე განხორციელებული ანალიზის შედეგები წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს, კანცლერს, ადმინისტრაციულ და აკადემიურ საბჭოებს, მათი კომპეტენციის ფარგლებში, რომელთა საფუძველზე ხორციელდება სამოქმედო გეგმაში, საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობაში შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვა, გაუმჯობესების მიზნით სათანადო მექანიზმების შემუშავება და/ან უკვე არსებულის გაუქმება.

ადმინისტრაციის მართვის ორგანოები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამაში ჩართული პერსონალი და ფაკულტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული გარე შეფასების შედეგებს იყენებენ პროგრამის განვითარების/გაუმჯობესების მიზნით. 2012 წელს წელს აკრედიტაციის ექსპერტების მიერ წარმოდგენილ იქნა რჩევები და რეკომენდაციები უნივერსიტეტის პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამების რეაკრედიტაციისთვის მზადების პროცესში სრულად იქნა გათვალისწინებული.

უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ არის ხელმისაწვდომი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლს. დამტკიცებულია იბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა, ასევე, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების (სპეციალობა: მარკეტინგი) სამაგისტრო პროგრამის სამოქმედო გეგმა (2018-2021). სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები. ძირითადი სტრატეგიული მიმართულებებია: დასაქმების უნარ-ჩვევებზე დაყრდნობით განათლების ხარისხის გაზრდა; კვლევის ხარისხის გაზრდა; ბიზნეს და საჯარო სეგმენტებთან მუშაობის ეფექტურობის გაზრდა; იბსუ-ს ხელშეწყობა/პრომოტირება. თითოეული სტრატეგიული მიზნის შესაბამისად სამოქმედო გეგმაში გაწერილია ქვე-მიზნები, ღონისძიებები, განხორციელების ვადები, რესურსები, ბიუჯეტი და პასუხიმგებელი პირი/პირები.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატური კონტროლისა და რეკომენდაციების მიცემით ახორციელებს პროგრამების ხარისხის თანდათანობით გაუმჯობესებას და მათ თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოვებას. უნივერსიტეტში მუდმივად მიმდინარეობს მუშაობა აკადემიური და კვლევითი აქტივობების ხარისხის უზრუნველყოფაზე. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მოწმდება და ფასდება აკადემიური პერსონალის შესაბამისობა და სამეცნიერო პუბლიკაციების ხარისხი.

გარე შეფასება ხდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- აკადემიური პერსონალის ყოველწლიური ანგარიშები სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების შესახებ;
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა;
- ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების (სპეციალობა: მარკეტინგი) სამაგისტრო პროგრამის სამოქმედო გეგმა (2018-2021);
- ბიზნესის მართვის ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების

მოთხოვნადობის შესაფასებელი ბაზრის კვლევის შედეგები (2017-2018);

- ლექტორების სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის შეფასების და ლექციაზე დაკვირვების ფორმები;
- სტუდენტების, პროგრამის კოორდინატორების და ლექტორების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუ პროგრამის კოორდინატორებთან, ლექტორებთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

1. გაუმჯობესდეს საგანმანათლებლო სფეროში ურთიერთანამშრომლობის მიზნით მემორანდუმის ხელმომწერი პარტნიორი ბიზნესკომპანიების და პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობის უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების, შეფასების და განვითარება/მოდერნიზაციის პროცესში. ამისათვის კი რეკომენდებულია:
   ა) დამსაქმებლების გამოკითხვის კვლევის დიზაინის, მეთოდოლოგიის სრულყოფა და კვლევის რეპრეზენტატულობის უზრუნველყოფა. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ დამსაქმებლების მიერ პროგრამის შეფასების კვლევაში მხოლოდ 2 რესპოდენტი იღებდა მონაწილეობას;
   ბ) დამსაქმებლებთან ურთიერთობის ფორმალიზება. აკრედიტაციის პროცესის ფარგლები მოწვეული დამსაქმებლები ვერ ან მხოლოდ ნაწილობრივ ადასტურებდნენ პროგრამის შემუშავების, მის განხორციელების, შეფასების ან განვითარების პროცესში ჩართულობას. ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის დროს არცერთ მათგანს არ ჰქონდა გაფორმებული მემორანდუმი საერთაშორისო შავი ზღვის უნივერსიტეტთან, თუმცა აცხადებდნენ, რომ მიმდინარეობდა მემორანდუმის პირობებზე მოლაპარაკება და შეთანხმება უნივერსიტეტთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში) • მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა მარკეტინგში

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 42

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			X	
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა

42